საზოგადოება პასუხს არ აგებს პარტნიორთა იმ ვალდებულებებზე, რაც დაკავშირებული არაა საზოგადოების საქმიანობასთან.

1.5. საზოგადოებას, საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის, უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

1.6. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით.

1.7. საზოგადოებას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად განახორციელოს საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები.

1.8. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ფილიალები, გახსნას წარმომადგენლობები, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.9. საზოგადოება განახორციელებს საქმიანობის შემდეგ სახეებს:
- სანტექნიკური, სავენტილაციო დანადგარებისა და მოწყობილობათა მონტაჟი;
- ცივი წყლის და დაბალი წნევის ქვაბების, შიდა და გარე ელექტროგაყვანილობათა მონტაჟი, საწარმო საამქროებში ელექტროძრავების დადგმა და მონტაჟი, მისი გამართვა და გაშვება;
- ელექტროგამანაწილებელ ქვესადგურებში ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობათა მონტაჟი;
- მანქანებისა და მექანიზმების მონტაჟი;
- სახალხო ხელოსნების საგნების წარმოება;
- მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევა;
- სავაჭრო საქმიანობა;

აღნიშნულის გარდა, საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს სხვა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც კანონით არ იკრძალება, ხოლო იმ საქმიანობას, რომელზეც არსებობს შეზღუდვები, განახორციელებს სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემდეგ.

II. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი

2.1. საზოგადოების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პარტნიორთა შენატანებით შექმნილია საწესდებო კაპიტალი, რომლის ოდენობაც შეადგენს 4097 (ოთხიათასოთხმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნული ვალუტით

2.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს პრივატიზების შედეგად შეძენილი სახელმწიფო საწარმო "სპეცმონტაჟი"-ს ქონებას.

2.3. წილები საწესდებო კაპიტალში პარტნიორებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად:
- ქ.ოქრუაშვილი - 8,5%
- გ.ჯვარშეიშვილი - 8,5%
- ზ.კურაკინი - 8,3%
- ვ.ვაჩეიშვილი - 8,3%
- ც.თონაძე -8,3%
- ნ.ოქრიაძე - 8,3%
- დ.სანებლიძე - 8,3%
- ჯ.ბიბილური - 8,3%
- რ.სახვაძე - 8,3%
- ბ.ჯანგავაძე - 8,3%
- ა.ვარდოშვილი - 8,3%
- გ.ჩხაიძე - 8,3%

2.4. შესატანზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა.

2.5. საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება დათქმული იქნას და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით, აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით.

2.6. შესატანის უკან დაბრუნება შეიძლება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

III. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი

3.1. პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება ან ხელშეკრულებით გადაცემა. წილის გასხვისებისათვის აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

3.2. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის დასამატებლად მიიღებს სხვა წილს, თითეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.

3.3. პარტნიორის მიერ წილის დათმობა ან გასხვისება მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას.

3.4. წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითეულ წილს.

3.5. დაუშვებელია საკუთრებაში წილის შეძენა.

3.6. პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით. თუ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან ან საერთოდ არ არსებობენ ის პირები, ვის მიმართაც არის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული, მაშინ პარტნიორებს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ იგი.

3.7. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

3.8. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტების ხელშეწყობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

3.9. დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია, საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

დირექტორს შეუძლია უარი თქვას აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოიყენოს. უარი საჭიროებს პარტნიორთა გადაწყვეტილებას.

პარტნიორს რომელსაც უარი ეთქვა ინფორმაციის მიცემაზე, შეუძლია განაცხადით მიმართოს სასამართლოს.

IV. პარტნიორთა კრება

4.1. პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

დირექტორმა უნდა მოიწვიოს საზოგადოების კრება, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები, ანდა კრების ჩატარებას მოითხოვენ პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეათედ ნაწილს.

4.2. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, კერძოდ:

ა. საზოგადოების წესდებისა და საწესდებო კაპიტალის შეცვლა;
ბ. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
გ. წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
დ. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
ე) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
ვ. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ზ. ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის 10%-ს;
თ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება .... ა[illegible] დოლარს;
ი. იმ სესხებისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას;
კ. პროკურის გაცემა და გაუქმება;
ლ. ის დარაჯებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას გააჩნია დამფუძნებლებთან ან საზოგადოების მართვიდან გათავისუფლებული დირექტორის ან პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებ

რომლებსაც იგი დირექტორების წინაშე წარადგენს;

ჰ). ხელმძღვანელ თანამდებობის პირებისა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის სისტემის პრინციპების განსაზღვრა;

ნ). წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

ო). შესატანის გადახდის მოთხოვნა;

პ). დამატებითი შესატანის უკან დაბრუნება;

ჟ). დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, ამასთან მათი ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშის დამტკიცება;

4.3. დირექტორს შეუძლია მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

4.4. კრება დაუყონებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

4.5. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარის ხელმოწერა.

V. დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

5.1. საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი. იგი საზოგადოებას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში.

5.2. დირექტორს არა აქვს უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან შევიდეს მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას.

ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ (კონკურენციის აკრძალვა).

კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისას დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს ზარალი. ამ უფლების გამოყენების შესახებ

გადაწყვეტილებას იღებენ დანარჩენი პარტნიორები.

5.3. დირექტორი საზოგადოების საქმიანობას უნდა გაუძღვეს ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. თუ იგი არ ასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისათვის პარტნიორის წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. საზოგადოების დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

საზოგადოების უარი რეგრესიული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუუნაროა ანდა გაკოტრების თავიდან აცილების ან საბანკროტო წარმოების მიზნით მორიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ იგი მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

VI. წლიური შედეგები

6.1. საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს, გარდა პირველი საქმიანი წლისა, რომელიც იწყება რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.

6.2. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და საბუღალტრო დოკუმენტაციის შენახვის წარმოება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების წილების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, თუ კანონით არ შეიზღუდება ეს უფლება.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება ცალკე წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებული იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

6.4. წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება წილის პროპორციულად. არ შეიძლება მიეცეთ პარტნიორებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი საზღაურით დაფაროს წარმოშობილი ზარალი. დირექტორი ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებიდან არ მიუღიათ მათი მოთხოვნის კომპენსაცია.

VII. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

7.1. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

7.2. დაუშვებელია საზოგადოების დაშლა ერთი პარტნიორის მიერ.
საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება, თუ ამას მოითხოვს ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელნი.

7.3. თუ საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება, დირექტორმა, არა უგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, უნდა განაცხადოს საბანკროტო საქმის აღძვრის შესახებ. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ქონება უკვე ვეღარ ფარავს ვალებს.

7.4. ლიკვიდაციას აწარმოებენ დირექტორი ან [illegible] სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორები.

7.5. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული შენატანებისა და წილობრივი უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წლის გასვლის შემდეგ [illegible] შესახებ გამოცხადების დღიდან.

7.6. პარტნიორებს შეუძლიათ საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი უფლებამოსილებებისა და საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ საფინანსო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში ახალი საფინანსო წლის დასაწყისის გათვალისწინებით.

7.7. საზოგადოებას შეუძლია გაერთიანდეს სხვა საზოგადოებასთან ან საწარმოსთან (შერწყმა).

7.8. საზოგადოება შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (გაყოფა ნაწილებით). ნაწილობრივი გაყოფა დაიშვება საბალანსო ღირებულებით. ნაწილობრივ გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები ნაწილობრივ გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

7.9. შერწყმა და ნაწილობრივ გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისთვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით.

3 апреля 96 года я, 35

ГОСУДАРСТВЕННЫЙ НОТАРИУС

ГОСУДАРСТВЕННОЙ НОТАРИАЛЬНОЙ

ЮЮ ПОДПИСЬ

ОВАЯ СДЕЛ

ПРЕДСТАВИТЕЛ

НЫ.

ЗАРЕГИСТРИ



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

ქ.თბილისის რეგიონალური ცენტრი

(საგადასახადო ინსპექცია)

ქ. თბილისი „15" დეკემბერი 2009 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №21505|007-7ა|4-136751

შპს „სპეცმონტაჟი"-ს რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 5^1 მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 08 მაისის N 419 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განხორციელდეს ცვლილება შპს „სპეცმონტაჟი"-ს სამეწარმეო რეესტრში, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 18 ივნისს, 7ა/4-136 დადგენილებით – ს/ნ 208151444

შეტანილ იქნეს რეესტრში ცვლილების შემდეგი მონაცემები, კერძოდ:

კერძოდ, შეიცვალა საზოგადოების დირექტორი. ირაკლი ხილაგაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და შპს „სპეცმონტაჟი"-ს დირექტორად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებით დანიშნულ იქნა გოგლა ნიკოლაიშვილი, მცხ. თბილისი, დოდაშვილის ქ. N 15; პ/ნ 01011007965.

სამართლებრივისაფუძველი: განაცხადის ფორმა N 6 14.12.2009წ.

დაევალოს ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განყოფილების უფროსს უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების მონაცემების სამეწარმეო რეესტრში შეტანა.

ინსპექციის უფროსი /ს. ღვინიანიძე /

(მოადგილე, უფლებამოსილი პირი) (ხელმოწერა)

შემსრულებელი: თ.ხარდიაშვილი

დანართი №6

განცხადება

საწარმოს, უცხოური საწარმოს ფილიალის (წარმომადგენლობის), საწარმოს ფილიალის, სამეწარმეო ამხანაგობის სახელმწიფო და საბაჟოსახადო რეგისტრაციის/რეგისტრაციის ცვლილებების/* შესახებ

ნაწილი I. ინფორმაცია მარეგისტრირებელი შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის)/საგადასახადო ინსპექციის, საწარმოს სახელწოდებისა და სამართლებრივი ფორმის შესახებ

1. საფირმო სახელწოდება

შპს „სპეციმონტაჟი" 416: 208151444

2. სამართლებრივი ფორმა

- [X] შპს
- [ ] საჯარო საწარმოგადება
- [ ] სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმოგადება
- [ ] კოოპერატივი
- [ ] კომანდიტური საწარმოგადება
- [ ] სააქციო საზოგადოება
- [ ] უცხოური საწარმოს ფილიალი (წარმომადგენლობა)
- [ ] საწარმოს ფილიალი

არჩეული სამართლებრივი ფორმა მონიშნეთ „X"

3. საწარმოს იურიდიული მისამართი (ქალაქი, რაიონი, სოფელი, ქუჩა, ნომერი) ქ. თბილისი, კოტეტიძის ქ. №7

ნაწილი II. ინფორმაცია (მონაცემები) ხელმძღვანელი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის, პროკურისტების შესახებ

1. ინფორმაცია (მონაცემები) ხელმძღვანელი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის შესახებ

ხელმძღვანელი	წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირი	გვარი	სახელი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)*
[X]	[X]	ნიკოლაიშვილი	გიგლა	ქართველი	ქ. თბილისი, დიდუბეში 15
[ ]	[ ]				
[ ]	[ ]				
[ ]	[ ]				

პირადი ნომერი**	წარმომადგენლობის სახე და წესი	დროებითი მისამართი	ხელმოწერა
01011007965	დირექტორი (სრული)	-	

ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის შემთხვევაში მონიშნეთ „X"

2. ინფორმაცია პროკურისტი ფიზიკური პირების შესახებ

გვარი	სახელი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)*

პირადი ნომერი**	წარმომადგენლობის სახე და წესი	დროებითი მისამართი	ხელმოწერა

3. ინფორმაცია პროკურისტი იურიდიული პირების შესახებ

საფირმო სახელწოდება	ქვეყანა	საიდენტიფიკაციო ნომერი/ რეგისტრაციის ნომერი****	რეგისტრაციის თარიღი	იურიდიული მისამართი

საგადასახადო მონაცემები

№3 14-12-2009 №3

№ 02-05/14999/0

ნაწილი III. ინფორმაცია დამფუძნებლების (მონაწილეების) შესახებ

7. დამფუძნებელი (მონაწილე) ფიზიკური პირის შემთხვევაში

	გვარი	სახელი	პ/ს შემთხვევაში პასუხისმგებლობა (კომანდიტი, კომპლემენტარი)***	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)*	პირადი ნომერი**	ხელმოწერა
ა)	თევდორაშვილი	ირაკლი	-	საქართველო	ქ. თბილისი, [illegible] ქ. 37, ბ.55	01024[illegible]18461	
ბ)							
გ)							
დ)							
ე)							
ვ)							
ზ)							

8. დამფუძნებელი (მონაწილე) იურიდიული პირის შემთხვევაში

<u>სარეგისტრაციო მონაცემები</u>

	საფირმო სახელწოდება	ქვეყანა	მარეგისტრირებელი ორგანო	რეგისტრაციის თარიღი	იურიდიული მისამართი
ა)					
ბ)					
გ)					
დ)					

<u>მონაცემები წარმომადგენელ(ებ)ის შესახებ</u>

	საიდენტიფიკაციო ნომერი****	გვარი	სახელი	ქვეყანა	პირადი ნომერი	საცხოვრებელი ადგილი
ა)						
ბ)						
გ)						
დ)						

9. საქმიანობის ხანგრძლივობა: უვადო

(უვადოს შემთხვევაში მიეთითება „უვადო", ხოლო ვადიანის შემთხვევაში – წლების ოდენობა)

ნაწილი IV. ინფორმაცია საკონტაქტო მონაცემების შესახებ

10. ახალის არჩევის შემთხვევაში ტელ: 877-73-71-81 ელ. ფოსტა:

შენიშვნა*****

11. ძველი დირექტორის ირაკლი [illegible] გათავისუფლება და [illegible] დირექტორად გიორგი ნიკოლაიშვილის დანიშვნა

ნაწილი V. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ

[illegible]

ვადასტურებ(თ), რომ შევსებული განცხადება შეესაბამება სინამდვილეს, არის სწორი და დასრულებული

12. უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერა ფიზ. პირ: [illegible] (პ№01003005133) თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) 14.12.2009წ.

13. საგადასახადო ინსპექციის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა ______ თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ______

14. საიდენტიფიკაციო ნომერი 208 151 444 ******

* უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მიეთითება საქართველოს მოქალაქის ეკვივალენტური მონაცემები
** უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მიეთითება პასპორტის (არსებობის შემთხვევაში პირადი) ნომერი
*** მიეთითება რომელია კომანდიტი და რომელი კომპლემენტარი
**** უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება რეგისტრაციის (არსებობის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო) ნომერი
***** ცვლილების შემთხვევაში ჩაიწერება, თუ რა სარეგისტრაციო მონაცემი შეიცვალა
****** ივსება განმცხადებლის მიერ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შემთხვევაში

ხელმოწერის ნიმუში

მე, [illegible] 12031963 [illegible] 01145553
[illegible] 01041007965 [illegible] №15
[illegible] 29.02.96 [illegible] 29.02.2016 [illegible]

(პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის) მონაცემები)

საქმიან ურთიერთობებში გამოვიყენებ შემდეგი ნიმუშის ხელმოწერას

სახელი, გვარი: [illegible]

ხელმოწერა: ______________________

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

____

____

(რიცხვი, თვე, წელი)

შპს „სპეცმონტაჟი“

დამფუძნებელი პარტნიორის

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი 14 დეკემბერი 2009 წ.

მე, შპს **„სპეცმონტაჟი“-ს** საწესდებო კაპიტალის წილის 100%-ის მფლობელმა პარტნიორმა **ირაკლი თევდორაშვილმა** (დაბადებული 11.08.1968 წელს თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს 37, ბ. 55, პირადობის მოწმობა №დ 0152833, პირადი ნომერი 01024018461, გაცემული თბილისის საბურთალოს რ-ნის შ/ს სამმართველოს მიერ 17.01.1997 წელს) საზოგადოების დირექტორის შეცვლასთან დაკავშირებით

გადავწყვიტე:

1. შპს „სპეცმონტაჟი“-ს დირექტორი **ირაკლი სილაგაძე** განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. შპს „სპეცმონტაჟი“-ს დირექტორად დაინიშნოს **გიგლა ნიკოლაიშვილი** (დაბადებული 12.03.1963 წ. ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი, დოდაშვილის 15, პირად. მოწ. №დ 0114553, პირადი N01011007965, გაცემული თბილისის ისნის რაიონის შ.ს. განყოფილების მიერ 29.02.1996 წელს).

მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოების დირექტორს გიგლა **ნიკოლაიშვილი**.

შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“

დამფუძნებელი პარტნიორი:

ირაკლი თევდორაშვილი ______________

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი
შპს „სპეცმონტაჟი“-ის შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	იურიდიული მისამართი	საქმიანობის სახე	მონაცემები საწესდებო კაპიტალის შესახებ	მონაცემები დამფუძნებელ(ებ)ის, დირექტორ(ებ)ის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ	წარმომადგენლობა დირექტორ(ებ)ის მიერ	საგადასახადო წარმომადგენელ(ებ)ი ან პროკურისტ(ებ)ი	სახელმწიფო რეგისტრაციის (ცვლილებების) თარიღი და ნომერი	მარეგისტრირებელი ორგანო	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
შპს	ქ. თბილისი, ენუქიძის ქ.№7	სამონტაჟო, საეკრო კომერციული და კანონით ნებადართული სხვა საქმიანობა.	4100 (ოთხი ათას ასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	ა) პარტნიორები: –ქართლოს ორკოდაშვილი წილი –9% –ზურაბ კურაკინი წილი –8,3% –ლამარა ვაჩეიშვილი წილი –8,05% –დავით სანებლიძე წილი –8,3% –გიორგი ჩხაიძე წილი –50% –რევაზ სახვაძე წილი –8,05% –თამაზ ბიბილური წილი –8,3% ბ) დირექტორი: ქართლოს ორკოდაშვილი ინჟინერ-მშენებელი	ქართლოს ორკოდაშვილი მცხ: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ.№29ა.		18.06.1996 წ. 20.06.2005 წ. №7ა/4-136	ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლო	

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი / /

„ . . . “ „ . . . . . “

(ხელმოწერის თარიღი)

ფორმა № 4

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეესტრის ფორმულარი

ქ. თბილისის ლენინ-კუიბიშევის რ-ნის სასამართლო

სასამართლოს სრული დასახელება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის № 7 ა/4-136

№	ა) საფირმო სახელწოდება (ფირმა) ბ) აღგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) გ) საქმიანობის საგანი	საწესდებო კაპიტალი	ა) დამფუძნებელი პარტნიორები ბ) დირექტორები გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, აღგილი, პროფესია, მისამართი)	წარმომადგენლობა დირექტორების მიერ	საჯარო წარმომადგენლები ან პროკურისტები	სამართლებრივი ურთიერთობა	რეგისტრაციის თარიღი და ხელმოწერა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
	ა) შპს „სანერგეთი" ბ) ახალი, ენგურის ქ. №47. გ) ნერგების საქმიანობა და სხვა სახის ხეხილის და ხეხილოვანი მცენარეების ნერგების მოყვანა	4087 ათას ლარის 2133.5 ევრო ვალუტაში	1. ქარცივაძე ოთარ შალვას ძე, ბინა ახალი, ა.ყაზბეგის 29, წილი - 8,5% 2. ფეთი ჯაფარიძე, ბინა ახალი, ვაკე - 8,5% წილი 32, 3. წულაძე ალექსი, ბინა ახალი, ჭ-3 ბინა 1 კ/ა, 35-ე კორპ. წილი - 8,3%. 4. ბერი ვასილიშვილი, ბინა ახალი, თბილისის ქუჩ. 65 წილი - 8,3%. 5. მაყვალა ლიპარტია, ბინა ახალი, გლდანის მას. ჭ-2 კ/ა, 24 კორპ. წილი - 8,3%	ქარცივაძე ოთარ შალვას ძე 22.08.33 წ. ადგილსამყოფელი ფეთი-ჯაფარიძე, ბინა ახალი, ა.ყაზბეგის 29.		დამყარდა საქმიანო ურთიერთობა კ/ა №1, 20.03.96წ.	18.06.96წ.	

2

ფორმა № 4

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეესტრის ფორმულარი

სასამართლოს სრული დასახელება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის № ყ°/4-136

№	ა) საფირმო სახელწოდება (ფირმა) ბ) ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) გ) საქმიანობის საგანი	საწესდებო კაპიტალი	ა) დამფუძნებელი პარტნიორები ბ) დირექტორები გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი, პროფესია, მისამართი)	წარმომადგენლობა დირექტორების მიერ	საერთო წარმომადგენლები ან პროკურისტები	სამართლებრივი ურთიერთობა	რეგისტრაციის თარიღი და ხელმოწერა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
			6. ნუგზარ [illegible], მც. ბათუმი, [illegible] ქ. № 8; წილი - 8,3% 7. [illegible], მც. ბათუმი, [illegible] ქ. 11-ე ჩიხ. წილი - 8,3%. 8. [illegible], მც. ბათუმი, [illegible], 2 ა 19 ჩიხ. წილი - 8,3%. 9. [illegible], მც. ბათუმი, [illegible] ქუჩ. 10. წილი - 8,3% 10. [illegible], მც. ბათუმი, [illegible] ქ. 30; წილი - 8,3%. 11. [illegible], მც. ბათუმი, [illegible] 28 წილი - 8,3%. 12. [illegible], მც. ბათუმი, [illegible] 51. წილი - 8,3%					

ფორმა № 4

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეესტრის ფორმულარი

სასამართლოს სრული დასახელება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის № 7/4-136

№	ა) საფირმო სახელწოდება (ფირმა) ბ) ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) გ) საქმიანობის საგანი	საწესდებო კაპიტალი	ა) დამფუძნებელი პარტნიორები ბ) დირექტორები გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი, პროფესია, მისამართი)	წარმომადგენლობა დირექტორების მიერ	სავაჭრო წარმომადგენლები ან პროკურისტები	სამართლებრივი ურთიერთობა	რეგისტრაციის თარიღი და ხელმოწერა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
			ბ) ქართლოს [illegible] გ) არ ჰყავს [illegible] წამყვანი სპეციალისტი: [signature] /ი. [illegible]/ 15.09.2003წ.					

საქმე № 19536 ტომი №

საცნობარო ფურცელი

[illegible]

საქმის დასახელება

[illegible]

რიგითი ნომერი	საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხა	საქმის ფურცელი	სხვა აღნიშვნები
1	2	3	4
	გარეკანი	1	
	მიმართვა	2	
	მიმართვა	3	
	განჩინება	4	
	მიმართვა	5	
	სულ 5 ფურცელი [illegible]		

1. ივსება სამოქალაქო სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში: სისხლის სამართლის საქმეში საქმის შემოსვლის მომენტიდან (სასამართლო დასკვნის შემდეგ), ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე [illegible] და სასამართლო განჩინების [illegible].

2. მე-4 გრაფაში აღინიშნება ხელმოწერები (აღნიშვნები) სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასლების ადრესატებისათვის [illegible] და სხვა დოკუმენტების ან მათი ასლების გაცემაზე (თარიღის მითითებით).

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა [illegible] კოლეგიის
მოსამართლე ბ-ნ [illegible]
შპს „საქსმოწყობა"-ს დირექტორის
[illegible] ოსეფაშვილის
მის: ქ. თბილისი, [illegible]

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა
კოლეგია
შემოვიდა 21.11.05
№ 19536

განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „საქსმოწყობა" რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 18 ივნისს. რეგისტრაციის №: 7ა/4-136. 2005 წლის 20 ივნისის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, [illegible] [illegible] [illegible] იყო [illegible]. აღნიშნულ დოკუმენტებში ერთ-ერთი დამფუძნებლის პარტნიორის გვარი არის [illegible] [illegible], [illegible] [illegible] კუჭუხიძის ნაცვლად წერია ზ. კუჭუხიძე.

გთხოვთ [illegible] ვადაში [illegible] აღნიშნული საკითხი და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

შპს „საქსმოწყობა"-ს

დირექტორი [illegible] ოსეფაშვილი

21.11.2005 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

საქართველო, თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №1. ტ. 75-83-45.

№19536 „ 22 “ ნოემბერი 2005 წელი

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ისანი-სამგორის
და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
გ. ლოლაშვილს

ჩემს წარმოებაში იმყოფება შ.პ.ს. „სპეცმონტაჟის“-ს დირექტორის ქართლოს ორკოდაშვილის განცხადება ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დადგენილებაში შესწორების შეტანის თაობაზე.

გთხოვთ, გადმოგვიგზავნოთ შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“-ს სამეწაარმეო რეესტრში რეგისტრაციის მასალები (რეგისტრაციის ნომერი 7ა/4-136).

დავით ღიბრაძე

მოსამართლე:

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
კანცელარიის განყოფილების უფროსი

/ვ.მარჯანიძე/

რთველოს ფინანსთა სამინისტროს
ადასახადო დეპარტამენტი

ქ. თბილისის
საგადასახადო ინსპექცია

სამგორის და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილება

ქ.თბილისი, 0113, ბაღდადის ქ. №8. , ტელ.: 772791, ფაქსი: 774848

05 წ. № 01-10/41040

005 წ. № ---------------

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლეს ბ-ნ დავით ლიბრაძეს

თქვენი მ/წლის 22 ნოემბრის №19536 კორესპონდენციის თანახმად, გიგზავნით შპს „სპეცმონტაჟი"-ს საქმეს (რეგისტრაციის №7ა/4-136).

მომსახურების სამმართველოს ისანი-სამგორისა
და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების უფროსი: დ. ბიბილაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა
კოლეგია
შემოსვლის თარიღი 22 11 05
19742
ინდექსი

შემსრ. მ. ხოფერია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტი

ქ. თბილისის
საგადასახადო ინსპექცია
ისანი-სამგორის და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილება
ქ.თბილისი, 0113, ბაღდადის ქ. №8. , ტელ.: 772791, ფაქსი: 774848

22.11.2005 წ. № 01-10/41040

თქვენს "---" ---------- 2005 წ. № ----------

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლეს ბ-ნ დავით ღიბრაძეს

თქვენი მ/წლის 22 ნოემბრის №19536 კორესპონდენციის თანახმად, გიგზავნით შპს „სპეცმონტაჟი"-ს საქმეს (რეგისტრაციის №7ა/4-136).

მომსახურების სამმართველოს ისანი-სამგორისა
და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების უფროსი: დ. ბიბილაშვილი

შემსრ. მ. ხოფერია

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა
კოლეგია
შემოსულია 22.11.05
ფურცელი 19742
ინდექსი

№7ა/4-136

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

„ 24 “ ნოემბერი 2005 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით ღიბრაძემ განიხილა შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“-ს დირექტორის ქართლოს ორკოდაშვილის განცხადება სამეწარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დადგენილებაში შესწორების შეტანის თაობაზე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 18 ივნისის დადგენილებით, რეგისტრაციის ნომერი 7ა/4-136.

შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“-ს დირექტორმა ქართლოს ორკოდაშვილმა განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმაზე მითითებით, რომ საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ 2005 წლის 20 ივნისის №7ა/4-136 დადგენილების მეოთხე პუნქტში დამფუძნებელ ზ. კურაკინის ნაცვლად მითითებულია ზ. კურაკიანი..

განმცხადებელი ითხოვს შეტანილი იქნას შესწორება 2005 წლის 20 ივნისის №7ა/4-136 ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დადგენილებაში.

განვიხილე განცხადება, შევამოწმე საზოგადოების სარეგისტრაციო მასალები, მიმანნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-285-ე მუხლებით,

დ ა ე ა დ გ ი ნ ე :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპეცმონტაჟი“-ს დირექტორის ქართლოს ორკოდაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. გასწორდეს სამეწარმეო რეესტრში შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“-ს ცვლილების რეგისტრაციის შესახებ 2005 წლის 20 ივნისის №7ა/4-136 დადგენილებაში დაშვებული უზუსტობა. კერძოდ: დადგენილების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპეცმონტაჟი“-ს დამფუძნებლების წილი საწესდებო კაპიტალში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ქ. ორკოდაშვილი – 9%;
ზ. კურაკინი – 8,3%;
ლ. ვანიშვილი – 8,05%;
დ. სანებლიძე – 8,3%;
გ. ხხაიძე – 50%;
რ. სახვაძე – 8,05%;
თ. ბიბილური – 8,3%. “

3. განჩინების ასლები გადაეგზავნოთ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და საგადასახადო ინსპექციას.
4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განმცხადებლისათვის მისი ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №1).

მოსამართლე: დავით ღიბრაძე

5

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

საქართველო, თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №1. ტ. 75-83-45.

№7ა/4-136 „ 24 “ ნოემბერი 2005 წელი

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ისანი-სამგორის
და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
გ. ლოლაშვილს

გეგზავნებათ განჩინება ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დადგენილებაში შესწორების შეტანის თაობაზე შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“-ს სამეწარმეო საქმესთან ერთად.

დანართი: 1. განჩინება „ 1 “ ფურცლად.
2. საქმე №7ა/4-136 ერთი ტომი.

დავით ღიბრაძე

მოსამართლე:

24.11.2005 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური
ქ.თბილისის
საგადასახადო ინსპექცია

ქ. თბილისი „23" იანვარი 2008 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 14335/004-7ა/4-136 7ას

შპს „სპეცმონტაჟი"-ს
რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ
საქართველოს „მეწარმეთა შესახებ" კანონის 5[6] მუხლის და საქართველოს მთავრობის
2007 წლის 20 მარტის №233 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განხორციელდეს ცვლილება შპს „სპეცმონტაჟი"-ს რეგისტრაციის მონაცემებში, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 18.06.1996წ. №7ა/4-136 დადგენილებით. ს/ნ 208151444.

გატარდეს სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შემდეგი მონაცემები:

კერძოდ, საზოგადოების დამფუძნებელმა: შპს „გამომცემლობა კოლორ"-მა კუთვნილი 100%-იანი წილი საწესდებო კაპიტალში გაასხვისა ირაკლი თევდორაშვილის სასარგებლოდ.

- ირაკლი თევდორაშვილი, მცხ. თბილისი, საბურთალოს 37, ბ. 55; პ/ნ 01024018461.

მიღებულია წესდების ახალი რედაქცია.

სამართლებრივი საფუძველი: დამფუძნებლის გადაწყვეტილება №1 21.01.2008წ.
შპს „გამომცემლობა კოლორი"-ს პარტნიორთა კრების ოქმი №20 21.01.2008წ. წილის ნასყიდობის ხელშეკრულება 21.01.2008წ.

დაევალოს საგადასახადო ინსპექციის მომსახურების სამმართველოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განყოფილების უფროსს უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების მონაცემების რეესტრში შეტანა.

ინსპექციის უფროსი

(მოადგილე, უფლებამოსილი პირი) (ხელმოწერა)

შემსრულებელი: თ. ხარდიაშვილი

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ

„23“ ოქტომბერი „2008“ წ.

(რიცხვი, თვე, წელი)

საიდენტიფიკაციო კოდი (რეგ. №) 14335/004-4ა/4-136 ...

ინსპექციის უფროსი, მოადგილე,

უფლებამოსილი პირი:

-- (ხელმოწერა)

სამართლებრივი ურთიერთობა:

პარტნიორის გადაწყვეტილება №1

„ 21 “ იანვარი 2008 წ.

წ ე ს დ ე ბ ა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ს პ ე ც მ ო ნ ტ ა ჟ ი“

(ა ხ ა ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა)

ქ. თბილისი

2008

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „სპეცმონტაჟი“ (შემდგომში „საზოგადოებად" წოდებული) რეგისტრირებულია ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 18 ივნისის დადგენილებით, სახელმწიფო რეგისტრაციის №7ა/4-136.

საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია შედგენილია საზოგადოების რეესტრში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

მუხლი 1
ზოგადი დებულებანი

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „სპეცმონტაჟი“ (შემდგომში – „საზოგადოებად" წოდებული) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდება: ქართულად – **შ.პ.ს. „სპეცმონტაჟი“;**

1.3. საზოგადოების იურიდიული მისამართია: – ქ. თბილისი, ენუქიძის ქ. №7;

1.4. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში – “საზოგადოება”).

1.5. საზოგადოება წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
საზოგადოების იურიდიული სტატუსი

2.1. საქართველოს კანონმდებლობით საზოგადოება იურიდიული პირია. საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით.

2.2. საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის საზოგადოებას აქვს უფლება დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

2.3. თავისი საქმიანობის შესაბამისად საზოგადოება დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ქონებას.

2.4. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

2.5. საკუთარ ვალდებულებებზე საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე. საზოგადოება პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

2.6. საზოგადოებას აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საქართველოსა და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე ბეჭედი, შტამპი, ემბლემა, საფირმო ნიშანი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

2.7. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ერთობლივი საწარმოები, ფილიალები, გახსნას წარმომადგენლობები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2.8. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

მუხლი 3
საზოგადოების საქმიანობის საგანი და მიზნები

3.1. საზოგადოების საქმიანობის მიზანია დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.

3.2. მოგების მიზნით განხორციელებული საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:
– სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო საქმიანობა;
– არქიტექტურულ-საპროექტო და სადიზაინერო მომსახურება;

– ნებისმიერი სახის პოლიგრაფიული, საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობა;
– გაზეთის, წიგნების და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება და გავრცელება;
– კომპიუტერული მომსახურება;
– სავაჭრო-კომერციული საქმიანობა;
– ხილის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის (მათ შორის პურ-ფუნთუშეულის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების) წარმოება, შესყიდვა და რეალიზაცია;
– კვების ობიექტების შექმნა და ექსპლუატაცია;
– მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, რეალიზაცია;
– წარმოდგენების, სანახაობითი ღონისძიებების გამართვა;
– სპრინტის, ლატარიის, ლოტოს და ტოტალიზატორების გათამაშება, აზარტული თამაშობების ორგანიზება, კაზინოების მოწყობა;
– კონკურსების, აუქციონების, აუქციონების მოწყობა;
– მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო კაბინეტების მოწყობა;
– მედიკამენტების წარმოება, შესყიდვა და რეალიზაცია, სააფთიაქო ქსელის შექმნა;
– ნავთობპროდუქტების შესყიდვა-რეალიზაცია;
– ძვირფასი ქვების და ლითონების დამზადება, შესყიდვა-რეალიზაცია;
– საპროექტო, სამშენებლო, სარესტავრაციო, სარემონტო, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
– სატრანსპორტო მომსახურება, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების განხორციელება;
– სასტუმროების, დასასვენებელი სახლების გახსნა;
– ტურიზმი.
3.3 საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი კანონით ნებადართული საქმიანობა, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებს და ინტერესებს.
3.3.1 ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის აღების შემდეგ.
3.4 საზოგადოება უფლებამოსილია დააარსოს ფილიალები და წარმომადგენლობები თავისი მიზნების განსახორციელებლად, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებებში.

მუხლი 4

საზოგადოების პარტნიორები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა

4.1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორია ფიზიკური პირი:

– ირაკლი თევდორაშვილი

(დაბადებული 11.08.1968 წელს თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ.თბილისი, საბურთალოს 37, ბ. 55. პირადობის მოწმობა №ს 0152833, პირადი ნომერი № 01024018461, გაცემული თბილისის საბურთალოს რ-ნის შ/ს სამმართველოს მიერ 17.01.1997 წელს)

მუხლი 5

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი

5.1. საზოგადოების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით დამფუძნებელი-პარტნიორ(ებ)ის შენატანით იქმნება საზოგადოების საწესდებო კაპიტალი.
5.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს **4100 (ოთხი ათას ასი)** აშშ დოლარს (ქონებრივი შენატანით).
5.3. საწესდებო კაპიტალის 100% ეკუთვნის:

– ირაკლი თევდორაშვილი	– 4100 (ოთხი ათას ასი) აშშ დოლარი – 100%;
სულ:	– 4100 (ოთხი ათას ასი) აშშ დოლარი – 100%;

5.4. საზოგადოების დამფუძნებელი-პარტნიორს საწესდებო კაპიტალში შეუძლია შეიტანოს:
- ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის ჩათვლით;
- ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ეკუთვნით მათ საკუთრების უფლებით;
- შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა-დანადგარები და სხვა მატერიალური ფასეულობანი;
- სხვა ქონებრივი უფლებები.

5.5. შეტანილი არაფულადი ქონების ღირებულების შეფასება ხდება დამოუკიდებელი ექსპერტის (აუდიტორის) მიერ.

მუხლი 6
საწესდებო კაპიტალის შეცვლა

6.1. საზოგადოებას უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი. ცვლილება საწესდებო კაპიტალში ძალაში შედის მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

6.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა ხორციელდება დამფუძნებელი-პარტნიორ(ებ)ის გადაწყვეტილებით.

მუხლი 7
საწესდებო კაპიტალში წილის დათმობა

7.1. დამფუძნებელი-პარტნიორი, უფლებამოსილია, მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი (წილის ნაწილი) სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

7.2. დამფუძნებელი-პარტნიორი სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს საწესდებო კაპიტალში თავისი წილის (წილი ნაწილის) გადაცემასთან ერთად გადასცემს მას თავის ყველა უფლებასა და მოვალეობას.

მუხლი 8
საზოგადოებიდან გასვლა

8.1 დამფუძნებელი-პარტნიორს უფლება აქვს უარი თქვას საზოგადოების წევრობაზე (გამოვიდეს საზოგადოებიდან), რისთვისაც მან წერილობითი ფორმით უნდა თქვას თვით ადრე უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორს.

8.2 საზოგადოებიდან გამოსვლის შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია გადაუხადოს მას საზოგადოებიდან გასვლის დღისათვის საზოგადოების ქონებაში მის კუთვნილი წილის ღირებულება, გადახდა წარმოებს დამფუძნებელი-პარტნიორის გასვლის წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ. მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა გასვლის დღიდან. დამფუძნებელი-პარტნიორის მოთხოვნათა და საზოგადოების თანხმობით წილი საზოგადოებიდან გასულ დამფუძნებელი-პარტნიორს შეიძლება დაუბრუნდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ნატურალური ფორმითაც.

8.3. ქონება, რომელიც საზოგადოებიდან გასულმა დამფუძნებელმა-პარტნიორმა გადასცა საზოგადოებას მხოლოდ სარგებლობისათვის, უბრუნდება მას ნატურალური სახით ელექტრონული ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 9
პასუხისმგებლობა

9.1. საზოგადოების დამფუძნებელი-პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებს მხოლოდ საწესდებო კაპიტალში თავისი წილის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10
დამფუძნებელი-პარტნიორის უფლება

10.1. *დამფუძნებელი-პარტნიორს უფლება აქვს:*

- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში იმ წესით, რომელიც დადგენილია ამ წესდებით;
- მიიღოს სრული ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- გაეცნოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციას;
- მიიღოს წილი საზოგადოების საქმიანობით მიღებული მოგებიდან;

10.2. დამფუძნებლის გარდაცვალების (ფიზიკური პირის) ან რეორგანიზაციის (იურიდიული პირის) შემთხვევაში ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა გადადის მის სამართალმემკვიდრეზე.

მუხლი 11

დამფუძნებელი-პარტნიორის ვალდებულება

11.1. *დამფუძნებელი-პარტნიორი ვალდებულია:*

- შეიტანოს წილი და დამატებითი შენატანები იმ წესით და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით;
- დაიცვას დამფუძნებელი დოკუმენტების დებულებანი;
- შეასრულოს საზოგადოების სასარგებლოდ აღებული ვალდებულებანი;
- დახმარება გაუწიოს საზოგადოებას მიზნების განხორციელებაში.

მუხლი 12

საზოგადოების ქონება

12.1. საზოგადოების ქონება (მათ შორის წარმოების საშუალებები, საკუთარი სამეურნეო საქმიანობით მიღებული ქონება და სხვა ქონება) წარმოადგენს მის საკუთრებას.

12.2. საზოგადოება თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს, განაგებს და მართავს საკუთარ ქონებას. საზოგადოებას უფლება აქვს თავისი ქონების მიმართ განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და შეუძლია გამოიყენოს თავისი ქონება ნებისმიერ სამეურნეო და სხვა საქმიანობაში, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

12.3. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს, იჯარით აიღოს, მიიღოს უფასოდ ან სესხად საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და მოქალაქეებისაგან, გაყიდოს, გადასცეს, გაასხვისოს, მისცეს იჯარით, მისცეს უფასოდ ან სესხით საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, გაცვალოს, ააშენოს, ჩამოწეროს ბალანსიდან ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე აწარმოოს გარიგება და მორიგება, დადოს ხელშეკრულებები და კონტრაქტები, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები ამ ქონების მომსახურებისა და ექსპლუატაციის მიზნით.

მუხლი 13

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა

13.1. საზოგადოებას უფლება აქვს დამოუკიდებლად განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, დადგენილი წესით.

მუხლი 14

საზოგადოების მართვის ორგანო

14.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას.

14.2. საზოგადოების საქმიანობის ორგანიზაციისათვის პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს ყველა ორგანიზაციასა და უწყების წინაშე. დირექტორი უზრუნველყოფს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების აღსრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებს.

მუხლი 15
დამფუძნებელი პარტნიორის კომპეტენცია

15.1. დამფუძნებელი პარტნიორის კომპეტენციას განეკუთვნება:
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;
- სესხებისა და კრედიტების აღება;
- წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, აგრეთვე განცალკევებული და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების დანიშვნა და გამოწვევა, მათი ანგარიშის დამტკიცება;
- დირექტორებთან სამსახურებრივი ხელშეკრულების დადება.
- საზოგადოების გეგმებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება.
- გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურის) გაცემა.
- ფილიალებისა და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფების შექმნა, მათი წესდებების (დებულებების) დამტკიცება, რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია).
- საზოგადოების ასოციაციებში, გაერთიანებებში და სხვა ორგანიზაციებში შესვლა და იქიდან გამოსვლა.
- საზოგადოებისა და მისი ფილიალების საქმიანობის წლიური შედეგების, მოგების განაწილების წესისა და ზარალის დაფარვის წესის განსაზღვრა და დამტკიცება.
- დამფუძნებლი-პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანების ოდენობის, ფორმისა და წესის დადგენა.
- იმ ხელშეკრულებების დამტკიცება, რომლის თანხაც აღემატება დამფუძნებლის მიერ დადგენილ ზღვარს.
- ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა.
- საზოგადოების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.
- საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ლიკვიდატორების დანიშვნა და სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.
- სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა კანონმდებლობისა და ამ წესდების თანახმად შედის დამფუძნებლის კომპეტენციაში.

15.2. პარტნიორთა კრება იღებს ასევე გადაწყვეტილებებს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებებს.

მუხლი 16
საზოგადოების დირექტორი

16.1. საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი. იგი უფლებამოსილია საზოგადოება წარმოადგინოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

16.2. დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებლი-პარტნიორი, გადაწყვეტილების საფუძველზე. დირექტორი მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე;

16.3. დირექტორმა თავისი ამოცანები უნდა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

16.4. დირექტორი მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე:
- ახორციელებს საზოგადოების მუშაობის ხელმძღვანელობას;
- განაგებს საზოგადოების ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით);

– აწარმოებს ქცევის სახის გარიგების, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საზოგადოების საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;
– მინდობილობის გარეშე მოქმედებს საზოგადოების სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს საქართველოსა და უცხოეთის ქცევა დაწესებულებაში, ფირმაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში;
– ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან თავის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა პერსონალს;
– წარუდგენს დამფუძნებელ- პარტნიორს დასამტკიცებლად წლიურ ბალანსსა და ანგარიშს;
– იღებს გადაწყვეტილებებს და იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია საზოგადოების ქცევა მუშაკისათვის;
– განსაზღვრავს იმ ინფორმაციის შემადგენლობასა და მოცულობას, რომელიც საზოგადოებისათვის წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოს, აგრეთვე განსაზღვრავს მისი დაცვის წესს.
– ახორციელებს სხვა ქმედებებს საზოგადოების მიზნების მისაღწევად.
16.5. დირექტორი დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;
- ფილიალების შექმნა, ლიკვიდაცია;
- ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება;
- სავაჭრო მინდობილობებისა და პროკურის გაცემა, გაუქმება;
16.6. დირექტორი ვალდებულია პარტნიორთა კრების წარუდგინოს ინფორმაცია:
საგარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ (წელიწადში ერთხელ მაინც);
საზოგადოების რენტაბელობის შესახებ ანგარიში (ყოველ კრებაზე).
16.7. დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტის საფუძველზე.

მუხლი 17
წლიური ანგარიში და შედეგების გადანაწილება

17.1. წლიურ ანგარიშს ადგენს დირექტორი. წლიური ანგარიში დება სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში და ეგზავნება დამფუძნებელ პარტნიორს. წლიური შედეგების გადანაწილება ხდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18
საზოგადოების მუშაკები

18.1. საზოგადოება უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულებით მიიზიდოს მოქალაქეები სამუშაოდ.
18.2. საზოგადოებაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დასვენების დღეები, შვებულებები (მათ შორის დამატებითი შვებულებები), აგრეთვე შრომის სხვა პირობები განისაზღვრება საზოგადოების შინაგანაწესით.
18.3. საზოგადოება დამოუკიდებლად განსაზღვრავს შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების ფორმებს, ოდენობას, სახეებსა და სისტემებს.

მუხლი 19
ქვედანაყოფების შექმნა და მონაწილეობა ორგანიზაციაში

19.1. საზოგადოებას უფლება აქვს შექმნას ორგანიზაციები, ფილიალები და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშების გახსნის უფლებით.
19.1.1. განცალკევებული ქვედანაყოფების ქონების აღრიცხვა წარმოებს როგორც მათ ცალკე ბალანსზე, ასევე საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსზეც.

19.1.2. საზოგადოების მიერ შექმნილი განცალკევებული ქვედანაყოფები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მოქმედებენ საზოგადოების სახელით (მინდობილობის საფუძველზე) და დამფუძნებელი-პარტნიორის მიერ მათ შესახებ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

მუხლი 20

საზოგადოების რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

